25/03/2024

MES 7 24 0000348867

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 11 მარტს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Mar 11, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=82912516582
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის

რუსუდან ბოჭორიშვილი - კოალიციის დამფუძნებელი, კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის პროფესიული განვითარების კომიტეტის ხელმძღვანელი, ტრენერი
ანნა გაზაშვილი - კოალიციის დამფუძნებელი, კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის მმართველი, კომიტეტის თავმჯდომარე

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა

გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
არჩილ ცინცაძე - დირექტორის მოადგილე
დათუნა რაქვიაშვილი - დირექტორის მოადგილე
ნინო ხაჩიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ილია ბერულავა - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
ზაზა ამირეჯიბი - საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამების მენეჯერი
გვანცა გურჩიანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი
ლაშა გოლეთიანი - მოკლევადიანი მომზადება გადამზადების პროგრამების მენეჯერი

სსიპ კოლეჯი „იბერია“

ირაკლი ავალიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე
ნინო დარასელია - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი

დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის მართვის სპეციალისტი
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

ელენე ბერიძე
ტიტე მეძმარიაშვილი
გელა გოდერძიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.
შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადება“ /01819/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „მთის ლიდერი“ /01854/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათი მიმდებარე კლდოვან მასივებზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „სათხილამურო გამყოლი“ /01863/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის სათხილამურო კურორტზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „მიკროელექტრონიკა“ /01857/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

საბჭოს სხდომა გაიმართა დღის წესრიგის მიხედვით.

1. ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის "ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადება“ /01819/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ელენე ბერაძემ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 28 დეკემბრის N 1773555 ოქმის და ა(ა)იპ „კოალიციისთვის ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ბავშვთა ადრეული განვითრების სპეციალისტის მომზადება“ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ა(ა)იპ „კოალიციამ ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის“ 2024 წლის 17 იანვარს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული განაცხადი (ID-01819, 17.01.2024).
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 30 იანვრის № 87753 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა ელენე ბერაძემ შეისწავლეს წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პირველი წარმოების ფარგლებში, დასკვნაში დაფიქსირებული იყო ხარვეზი პირველი სტანდარტის 1.6 ქვესტანდარტში, კერძოდ , “ სწავლის შედეგების ფორმულირება ზედმეტად

ვრცელია და ჰგავს კვირეულ თემატიკას, რაც უნდა შეიცვალოს, ლაკონურად შემოკლდეს და მეტად დაკონკრეტდეს, ხოლო ამის შესაბამისად, კვირეული თემატიკა ჩაიშალოს და მეტად განივრცოს. სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა იყოს მეტად ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით და/ან კომპეტენციით აღწერილი. ასევე, გამოყენებული უნდა იყოს მეტი აქტიური ზმნები". დაწესებულებამ ხარვეზი გამოასწორა, პროგრამის სწავლის შედეგები მოკლედ და ლაკონურად ფორმულირებული წარმოადგინა, ხოლო კვირების მიხედვით განსაზღვრული თემატიკა, განახლებული სწავლის შედეგების შესაბამისად გონივრულად განავრცო და მეტად დააზუსტა.

გაცემული იყო რეკომენდაციები 1.2, 1.4, 1.5 და 1.7 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, კერძოდ,

ქვესტანდარტი 1.2 - განახლებული პროგრამა წარმოდგენილ იქნა სახელწოდებაში შეტანილი მცირედი ცვლილებით (სიტყვა „პროგრამა" არის ამოღებული) და განახლებული სწავლის შედეგებით, რომლებიც მოკლედ და ლაკონურად არის ფორმულირებული, ასევე, ზედმიწევნით შეესაბამებიან პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებასა და მისაღწევ მიზანს.

ქვესტანდარტი 1.4 - პროგრამაში განსაზღვრული იყო მხოლოდ შესარჩევ აპლიკანტთა ასაკობრივი შეზღუდვა და ნებისმიერი მიმართულების უმაღლესი განათლება. მსმენელთა მიღების არსებულ წინაპირობებს დაამატა - პროფესიული განათლება საექთნო საქმეში, ან სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელის მიმართულებით და ბავშვთა სფეროში მუშაობის სულ მცირე 6 თვიანი გამოცდილება.

ქვესტანდარტი 1.5 - წარმოდგენილ განაცხადში დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰქონდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონე, საბჭოს სხდომაზე პროგრამის სიღრმისეული განხილვისას, საბჭოს წევრებთან ერთად მსჯელობის პროცესში, დაწესებულების წარმომადგენლობამ ნებართვა ითხოვა და გადაწყვიტა პროგრამის დონის შეცვლა, რასაც საბჭოს წევრებიც დაეთანხმნენ.

შესაბამისად, განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამის განაცხადში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონეს შეესაბამება.

ქვესტანდარტი 1.7 - თავდაპირველი დასკვნის ფარგლებში დადგენილი ხარვეზისა და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით: განახლებული სწავლის შედეგებისა და მეტად დაზუსტებული, გონივრულად გავრცობილი (ჩაშლილი) კვირეული თემატიკის მიხედვით - პროგრამის ხანგრძლივობა ჯამში - 16 კვირით, ხოლო პროგრამის სრული სასწავლო დატვირთვა (მცირედი ნამატით) - 160 საათით განისაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციის წარდგენისთვის, დასძინა, რომ მას არ ჰქონდა კითხვები წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით და მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინა პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს შემადგენლობას, ასევე, ექსპერტებს იმ რეკომენდაციებისთვის, რაც გაიცა მათი მხრიდან და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ კოალიცია ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის „ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადება" /01819/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ კოალიციას ბავშვთა ადრეული განვითარებისთვის (ს/კ: 405111221) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადება /01819/ **(დანართი 1)**.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 11 მარტი.

2. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „მთის ლიდერი“ /01854/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათი მიმდებარე კლდოვან მასივებზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) 2024 წლის 30 იანვრის №91591 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ტიტე მეძმარიაშვილმა დისტანციურად განახორციელეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის (შემდგომში-სკოლა) პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მთის ლიდერი'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.

პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დისტანციურად განხორციელების დროს გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება სკოლის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 1.7 პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.
წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების 2 კვირიანი პროგრამის ,,მთის ლიდერი'' ხანგრძლივობა განისაზღვროს 4 კვირით წარმოდგენილი შედეგების და თემატიკების გათვალისწინებით.
აღინიშნა, რომ რეკომენდაცია მიღებულ იქნა საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან, რომლებმაც პროგრამის განმახორციელებელ პირებს ჩაუტარეს ამ დარგის მიმართულებით გადამზადების 4 კვირიანი კურსი. პროგრამის შეფასების დროს დეტალურად იქნა განხილული პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდის შესახებ 4 კვირიანი პროგრამის მონახაზი. პროგრამაში უცვლელი რჩება სწავლის შედეგები და თემატიკები, თემატიკა გადანაწილდება 4 კვირაზე, აქედან გამომდინარე უფრო მეტი დრო ეთმობა თითოეული სწავლის შედეგის სწავლებას. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გადამზადების პროგრამაში სწავლის ხანგრძლივობის გაზრდას.
სალომე ქუთათელაძემ მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა მეხუთე, პროგრამის ხანგრძლივობა - 2 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24. პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერშ და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები.
წარმოდგენილი პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაში პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია - საკონკურსო ტური - ფიზიკური მომზადება დღეში 6 – 8 საათიანი 1500 ჰმ-მდე ასასვლელი ტურებისთვის. ტურების შესახებ ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება მინიმუმ 20 ტურისტული ლაშქრობა (DAV სამთო გზის კატეგორია წითელი ან T3 SAC შკალა 1200ჰმ), 15 სამთო ტურისტული ლაშქრობა (DAV სამთო გზის კატეგორია შავი ან T4 SAC შკალა 800ჰმ), 15 სამთო ტური მეტწილად უგზო მთიან მიდამოებში (UIAA სირთულის ხარისხი1-2, 600ჰმ) და ა.შ. ალპინისტური საქმიანობა. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროგრამის - „საფეხმავლო გამყოლი“ სერტიფიკატი.
პროგრამის სხვა მოთხოვნები: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯი; აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს პირველადი გადაუდებელი დახმარების ვალიდური სერტიფიკატი; აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100).
აპლიკანტთა დაშვების ტექნიკური წინაპირობა: აპლიკანტი ვალდებულია პროგრამაზე დასასწრებად იქონიოს შემდეგი აღჭურვილობა: 40-50 ლ. ზურგჩანთა; თხილამურები (თოვლის ფეხსაცმელი); ზვავში ძებნის ხელსაწყო (ბიპერი); საზვავე ზონდი; საზვავე ნიჩაბი; თოვლის ხერხი; თოვლის ფენების შესწავლის აქსესუარები; ზამთრის პირობებში, ველურ ბუნებაში ყოფნის შესაბამისი პირადი აღჭურვილობა: C ან D კატეგორიის სალაშქრო/ალპური

ლაშქრობის ფეხსაცმელი; თერმო თეთრეული; დაბალი ტემპერატურების შესაბამისი შარვალი, ქურთუკი, ხელთათმანი, ქუდი, გამაში; წყალგაუმტარი დამცავი ფენა - შარვალი, ქურთუკი; 10, -15 საძილე ტომარა; საძილე ლეიბი; თავფანარი, კომპასი და რეგიონის რუკა; წყლის მოსადუღებელი/საკვები მოსამზადებელი გაზქურა/ჭურჭელი.
პროგრამა ითვალისწინებს სამი სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 2 კვირა, რომელიც მოიცავს 80 საათს. პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც პრაქტიკული კომპონენტი, ასევე თეორიული ნაწილიც, რომელიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟით. სასწავლო პროცესი ხორციელდება ზამთრის სეზონზე, სწავლებისთვის შესაბამის რელიეფზე, უსაფრთხოების ზომების დაცვიდან გამომდინარე, ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე.
სწავლების დროს გამოყენებული იქნა სხვადასხვა სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, სასწავლო პროცესი ხორციელდება ზამთრის სეზონზე, სწავლებისთვის შესაბამის რელიეფზე: მესტია-ლეზხირის, ჭალადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები; მესტიის სათხილამურო კურორტი; ჭიათურის რაიონი სოფ. კაცხი, სოფ, სვერი, და მათი მიმდებერე კლდოვანი მასივები. როგორც აღინიშნა, პროგრამა გათვალისწინებულია სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის კურსდამთავრებული, სერტიფიცირებული საფეხმავლო გამყოლებისთვის, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ საფეხმავლო ტურები გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის კლიმატურ პირობებში და გადამზადდებიან საერთაშორისო სტანდარტების (UIMLA) მიხედვით ზამთრის სალაშქრო უნარების საკვანძო კომპეტენციებში.

კურსდამთავრებულს გადაეცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და შეეძლება დასაქმდეს წლის ოთხივე სეზონზე საქართველოს ნებისმიერ კურორტზე, ტურისტულ კომპანიაში ან იყოს თვითდასაქმებული, ხოლო ,,მთის ლიდერის'' სერტიფიკატის მქონე გამყოლები, მიიღებენ საერთაშორისო აღიარებას მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება საერთაშორისო ორგანიზაციის UIMLA-ს სრულუფლებიანი წევრი. UIMLA-ს სტანდარტის კვალიფიკაციის მქონე ქართველი გამყოლები იქნებიან „საერთაშორისო მთის ლიდერები“.

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული გადამზადების პროგრამის - ,,მთის ლიდერი'' განხორციელებაში ჩართული იქნება 7 განმახორციელებელი პირი, რომლებიც არიან სერტიფიცირებული საფეხმავლო, ალპური და სამთო გამყოლები და ბოლო 5 წლის განმავლობაში გავლილი აქვთ სწავლება საფეხმავლო გამყოლი-ტრენერის გადამზადების კურსების ფარგლებში, ნაციონალური და/ან საერთაშორისო (IFMGA, UIMLA) სტანდარტების შესაბამისად. პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია 4 სასწავლო ლიტერატურა, როგორც ქართულენოვანი, ასევე, უცხო ენოვანი. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე აქვს ელექტრონული ვერსიებიც. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსი ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე. მესამე სტანდარტი - პროგრამის ადმინისტრირება დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით განემარტა, თუ რა მოსაზრებით დაემატა პროგრამას 2 კვირა, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ,,მთის ლიდერის'' სერტიფიკატის მქონე გამყოლები, მიიღებენ საერთაშორისო აღიარებას მას შემდეგ, რაც საქართველო გახდება საერთაშორისო ორგანიზაციის UIMLA-ს სრულუფლებიანი წევრი. UIMLA-ს სტანდარტის კვალიფიკაციის მქონე ქართველი გამყოლები იქნებიან „საერთაშორისო მთის ლიდერები", აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტს/რეგულაციებს რომ დაექვემდებაროს აღნიშნული პროგრამა, გაჩნდა იმის საჭიროება, რომ პროგრამა იყოს 4 კვირიანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რატომ არ იქნა გათვალისწინებული, რომ პროგრამა თავიდანვე ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შემუშავებული და განაცხადი შემოიტანა 2 კვირიანი ხანგრძლივობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დათუნა რაქვიაშვილმა განაცხადა, რომ შენიშვნა საბჭოს მხრიდან აბსოლუტურად კორექტული იყო, მან დასძინა, რომ ამ პროგრამის შემუშავების და ცენტრში განაცხადის შემოტანის პერიოდი დაემთხვა საქართველოს გაწევრიანებას კანდიდატად საერთაშორისო ორგანიზაცია UIMLA-ში, მან განაცხადა, რომ თავდაპირველად არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის სტრატეგია, მაშინ ასეთი პერსპექტივა არ იყო ნათელი, თუმცა შემდეგ გამოიკვეთა თანამშრომლობის პერსპექტივა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამას დაემთხვა ტრენერების გადამზადება, თავისთავად წარმოდგენილი პროგრამის შედეგები და თემატიკა აბსოლუტურად იდენტურია საერთაშორისო პროგრამის, შესაბამისად დადგა საკითხი პროგრამის ხანგრძლივობა გამხდარიყო ორი კვირის ნაცვლად 4 კვირა, მითუმეტეს ეს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციაც იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიმართა დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა პროგრამის ხანგრძლივობის 4 კვირამდე გაზრდასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან საქართველოს გაწევრიანება კანდიდატად საერთაშორისო ორგანიზაცია UIMLA-ში ძალზე მნიშვნელოვანია, მხარს უჭერდა წარმოდგენილი პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდას 4 კვირამდე.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ იზიარებს, რაც დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს გაწევრიანება კანდიდატად საერთაშორისო ორგანიზაცია UIMLA-ში, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ტურიზმის სფეროში, შესაბამისად კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ კონკურენცია გაუწიონ უცხოელ ტურიზმის გამყოლებს, თუ ლიდერებს, რითაც გაჯერებულია შემომყვანი ტურისტული კომპანიები, საქართველოშიც დახვდებიან კვალიფიცირებული სერტიფიცირებული ადამიანები, რაც თავისთავად პრესტიჟული და ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ტურისდტული ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით. მან დასძინა, რომ მხარს უჭერდა პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდას, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი, სწავლის შედეგები არ იცვლება, მხოლოდ სხვაგვარად გადანაწილდება.
  საბჭოს წევრმა მარიკა ზაქარეიშვილმა მადლობა გადაუხადა ნანი დალაქიშვილს განმარტებისთვის და განაცხადა, რომ მხარს უჭერდა აღნიშნული პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „მთის ლიდერი" /01854/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო

კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ტურიზმის სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მთის ლიდერი /01854/ მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალებზე, მესტიის სათხილამურო კურორტზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხში, სოფ. სვერში და მათ მიმდებარე კლდოვან მასივებზე **(დანართი 2).**

3. ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „სათხილამურო გამყოლი“ /01863/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის სათხილამურო კურორტზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 31 იანვრის №93581 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და

დარგის ექსპერტმა, ტიტე მეძმარიაშვილმა დისტანციურად განახორციელეს ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის (შემდგომში - სკოლა) პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,სათხილამურო გამყოლი'' განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების ZOOM-ის გამოყენებით.
პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დისტანციურად განხორციელების დროს გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში.

ქვესტანდარტი 2.2 - პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
პროფესიული გადამზადების პროგრამის დოკუმენტში პროგრამის განხორციელების ადგილს (მესტიის სათხილამურო კურორტი) დაემატოს კიდევ ორი განხორციელების ადგილი: გოდერძის სათხილამურო კურორტი და ბაკურიანის სათხილამურო კურორტი.

ვიზიტის დროს პროგრამის განხორციელების ადგილთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის და სკოლის წარმომადგენლების მხრიდან, რომ პროგრამის მდგრადობისთვის, გადამზადების პროგრამის დოკუმენტში განსაზღვრულ განხორციელების ადგილს, (მესტიის სათხილამურო კურორტს), დაემატოს კიდევ ორი განხორციელების ადგილი, კერძოდ, გოდერძის სათხილამურო კურორტი და ბაკურიანის სათხილამურო კურორტი.

აღნიშნული ლოკაციების დამატება ხელს შეუწყობს პროგრამის ეფექტურად განხორციელებას და საშუალებას მისცემს სკოლას, ამინდის ცვალებადობიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლების პროცესი არ შეაფერხოს და განახორციელოს სწავლება იმ ლოკაციაზე, სადაც თოვლის საფარი იქნება.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ აღნიშნა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეხუთე; პროგრამის ხანგრძლივობა - 10 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24; პროგრამის განხორციელების ადგილი - მესტიის სათხილამურო კურორტი.
მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: განათლება - სრული ზოგადი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა: გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით. საკონკურსო ტური - სათხილამურო ტექნიკური უნარების დემონსტრირება; გაკვალულ და გაუკვალავ თოვლში, 30-35 გრადუსიან დახრილობის ფერდობზე თხილამურით/ სნოუბორდით ყოველ 5 მ-ზე გაუჩერებლად 1 ან მეტი მოხვევის გაკეთება მინიმუმ 100 მეტრის მანძილზე. პროგრამის სხვა მოთხოვნები: მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ტრანსპორტირების, ცხოვრების და კვების ხარჯი; აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100).

აპლიკანტთა დაშვების ტექნიკური წინაპირობა: აპლიკანტი/მსმენელი ვალდებულია პროგრამაზე დასასწრებად იქონიოს პროგრამის სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობა.
პროგრამა ითვალისწინებს 7 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

წარმოდგენილი პროფესიული გადამზადების პროგრამის დოკუმენტში, პროგრამის ხანგრძლივობად განსაზღვრულია 10 კვირა, რომელიც მოიცავს 355 საათს.
პროგრამა გათვალისწინებულია თხილამურებით სრიალის პრაქტიკოსი გამყოლებისთვის. პროგრამის სწავლება თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე განხორციელდება C სასწავლო გარემოში, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული ნაწილიც ისწავლება საველე პირობებში ინსტრუქტაჟის გზით.
პრაქტიკული სწავლების დროს შეზღუდულია ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა: ექსპერტისა და მსმენელთა თანაფარდობა უნდა იყოს 1/6-ზე.
სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 9 განმახორციელებელი დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები. განმახორციელებლები არიან სერტიფიცირებული ტრენერები, რომლებსაც გავლილი აქვთ თხილამურებით სრიალის გადამზადების პროგრამა ნაციონალური ან საერთაშორისო (ISIA) სტანდარტების შესაბამისად.

სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს და მორგებულია მსმენელთა საჭიროებებზე, პროგრამის სწავლებისთვის განსაზღვრულია 3 სასწავლო ლიტერატურა, როგორც ქართულ ენოვანი, ასევე, უცხო ენოვანი. დაწესებულებას აქვს პროგრამისთვის საჭირო სასწავლო ლიტერატურა ნათარგმნი ქართულ ენაზე, ასევე აქვს ელექტრონული ვერსიებიც. მესამე სტანდარტი - პროგრამის ადმინისტრირება დაკმაყოფილებულია.
აღნიშნულ განაცხადთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ზაზა ამირეჯიბმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამასთან მიმართებაშიც იგივე რეკომენდაციები იქნა გაცემული, განაცხადის ცენტრში გამოგზავნის შემდეგ დაწესებულება ცვლილება შეიტანა წარმოდგენილ პროგრამაში საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით.
თავისი მოსაზრება დააფიქსირა დათუნა რაქვიაშვილმა, მან განაცხადა, რომ 2023 წლის დეკემბერში საქართველოს პარლმენტმა მიიღო კანონი ტურიზმის შესახებ, აღნიშნულ კანონში ცალკე არის მუხლი, რომელიც შეეხება მაღალი რისკის მქონე აქტივობების/საქმიანობის რეგულირებას, კანონში პირდაპირ ჩაიწერა სამთო, სათხილამურო და ალპური გამყოლის პროფესიების რეგულირების შესახებ, შემდგომ უნდა განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები კანონქვემდებარე აქტების და რეგულაციების შემუშავების მიზნით. აღნიშნული პროფესიები გახდება რეგულირებადი. ამ სამი მიმართულების გარდა გაკეთდა ასევე ნუსხა, მაღალი რისკის მქონე პროფესიების, რომელიც ალბათ მომავალში დარეგულირდება ასევე კანიონინგი, ჯომარდობა და სხვ., სავარაუდოდ შეიძლება ეს შეეხოს მთის ლიდერსაც, ამ პერსპექტივიდან და ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე დაწესებულებამ გადაწყვიტა სასწავლო პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, მათ შორის მოხდება რეფერენსირება, ესეც ერთ-ერთი მაპროვოცირებელი პროცესია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო ხელს შეუწყობდა ამ პროცესს, დაინტერესდა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაზეც ზაზა ამირეჯიბმა განაცხადა, რომ ამ პროგრამის შემთხვევაშიც მოხდება პროგრამის ხანგრძლივობის გაზრდა 17 კვირამდე, კვირეული სასწავლო დატვირთვაც გაიზრდება 40 საათამდე.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის განხორციელების ადგილების დამატებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ განხორციელების ადგილს დაემატებოდა ორი დამატებითი ლოკაცია, გოდერძის სათხილამურო და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები. მან დასძინა, რომ მხოლოდ ტექნიკური ცვლილება

განხორციელდება და დარგის ექსპერტს მიმართა დაედასტურებინა, რომ ეთანხმებოდა ამ ცვლილებას. დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა აღნიშნულ ცვლილებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლის „სათხილამურო გამყოლი“ /01863/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ ტურიზმის სათავგადასავლო ტურიზმის სკოლას (ს/კ: 429322985) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - სათხილამურო გამყოლი /01863/ მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტებზე **(დანართი 3)**.

4. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „მიკროელექტრონიკა“ /01857/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა გელა გოდერძიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) 2024 წლის 5 თებერვლის N112604 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, გელა გოდერძიშვილმა განახორციელეს ვიზიტი, სსიპ კოლეჯში ,,იბერია'' ქ. ქუთაისი. ზ. ანჯაფარიძის ქ.N61. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „მიკროელექტრონიკა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური, ადამიანური და სასწავლო რესურსი. მოხდა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და თანამშრომლობით გარემოში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა რეკომენდაცია 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.10 მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას

ვიზიტის დროს პროგრამის განმახორციელებლებმა და კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ კოლეჯი პროფესიული მომზადების პროგრამის ,,მიკროელექტრონიკა'' სწავლებისას, გამოიყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, განმავითარებელი შეფასება განსაზღვრული აქვთ ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება პროგრამით განსაზღვრულ მე-13 სასწავლო კვირის ბოლოს. ამდენად, მიზანშეწონილია პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტში განისაზღვროს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რათა მსმენელი ინფორმირებული იყოს ამის შესახებ.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეხუთე; პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. № 61.

დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტი.

პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა გამოიკითხა რეგიონში არსებული მსხვილი კომპანიები, რომლებიც წარმოებაში იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და სჭირდებათ კადრები, რომლებიც დაეხმარებიან პროგრამირებადი მოწყობილობების წრედის გამართვასა და პროგრამულ უზრუნველყოფაში, მოდელების მოდიფიკაციაში სენსორების გამოყენებით, ციფრული ინსტრუმენტებისა და სისტემების შექმნაში, ექსპერიმენტების ჩატარებასა და ჩატარებული სამუშაოს შეფასებაში, სისტემის ქვესისტემებად და ობიექტებად წარმოდგენასა და პროცესებზე დაკვირვებაში.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება. წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს 8 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით. პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, რომელიც მოიცავს 260 საკონტაქტო საათს. პროფესიული მომზადების პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები, სწავლის მეთოდები სწავლების თანამედროვე მიდგომებითა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების

გამოყენებით, ხელს უწყობენ სწავლების შედეგებზე გასვლას. მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ თეორიული და პრაქტიკული კურსი, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით თითოეულ მსმენელს შეექმნას პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საჭირო პირობები.

პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას. თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სწავლება განხორციელდება კოლეჯში არსებულ C სასწავლო გარემოში. კოლეჯს შეძენილი აქვს ძირითადი ელექტრონული კომპონენტები, გამზომი ხელსაწყოები, საკვლევი აღჭურვილობა და ინსტრუმენტები, რაც პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობას აძლევს ადგილზე - კოლეჯის C გარემოში განხორციელდეს ძირითადი სასწავლო თემატიკა, პრაქტიკა და კვლევა.

კოლეჯს ჰყავს სამი პარტნიორი ორგანიზაცია: შპს ,,სმარტკომი'', შპს ,,პანორამა ქუთაისი'', შპს ,,MG Tex'', რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმების პირობების თანახმად თითოეული კომპანია უზრუნველყოფს 4 მსმენელის დასაქმებას და პროგრამის მსმენელებისთვის გაცნობით პრაქტიკას. ვიზიტის დროს მოხდა პარტნიორ კომპანიებთან ვიზიტი, გავესაუბრეთ კომპანიის წარმომადგენლებს გავეცანით მათ საქმიანობას და პროექტებს, მათ მიერ გამოითქვა მზაობა, მიიღონ მსმენელები გაცნობით პრაქტიკაზე და ხელი შეუწყონ მათ დასაქმებას.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. კოლეჯს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და პირობები, რომელსაც პროგრამის განმახორციელებელი სწავლის დაწყებამდე აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და მსმენელებს.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. კოლეჯს პროფესიული მომზადების პროგრამის ,,მიკროელექტრონიკა'' განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავს ორი პირი, რომელთანაც გაფორმებული აქვს წინარე შრომითი ხელშეკრულებები. კოლეჯმა პროგრამის განაცხადთან ერთად წარმოადგინა განმახორციელებლების პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებითა და შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.
სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური დონის შესაბამისი მოწყობილობებით, რომლის საშუალებითაც მსმენელებს შეუძლიათ სრულფასოვნად აითვისონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. კოლეჯს განსაზღვრული აქვს 5 სასწავლო რესურსი (ინტერნეტ რესურსი), აქედან 3 არის სახელმძღვანელო და 2 ინტერნეტ რესურსი.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. რაც შეეხება მესამე სტანდარტს - პროგრამის ადმინისტრირებას, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილ იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების ზრდასრულთა განათლების კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ეთანხმებიან აღნიშნულ რეკომენდაციებს, მადლობა გადაუხადა ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, მან დასძინა რომ სექტემბერში გამოაცხადებდა მიღებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „იბერიის“ „მიკროელექტრონიკა“ /01857/- პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ კოლეჯ „იბერიას“ (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „მიკროელექტრონიკა“ /01857/ **(დანართი 4)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01819	ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტის მომზადება	პროფესიული მომზადება	მეხუთე	16	ქართული	75	ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქ. ჩიხი 2,14

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01854	მთის ლიდერი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	4	ქართული	24	მესტიის მუნიციპალიტეტის ლეზხირის, ჭალაადის, უშბას, ჩათინის, პატარა უშბას მწვერვალები, მესტიის სათხილამურო კურორტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. კაცხი, სოფ. სვერი და მათი მიმდებარე კლდოვანი მასივები

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01863	სათხილამურო გამყოლი	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	17	ქართული	24	მესტიის, გოდერძის და ბაკურიანის სათხილამურო კურორტები

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01857	მიკროელექტრონიკა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	13	ქართული	10	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61